№ 224

შაბათი, 14 ოქტომბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227


№ 224

შაბათი, 14 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილის.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.


## ქართველ ქალთა
## სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—6.—37) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## სკოლა და პანსიონი
### ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.

ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრომიშევისა, (10—188—10)

## კერძო კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. **ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. **ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. **ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ი. თ. **პროტასევიჩი**—5—6 საათ.

ა. ნ. **შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ბ. ა. **ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. **ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. **მელინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. **გეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. **მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. **გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდისი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. **გელოვოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## დაბა სამტრედიაში
## მკურნალი
ვასილ გიორგის ძე
## წერეთელი

ამ წლის ოქტომბრის 17-დგან მიიღებს ავადმყოფებს სამკურნალოდ.

ს. სალარიძე ასწავლის

**ფრანგულ, იტალიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.**

ღარიბ მსურველთ აძლევს გაკვეთილებს 4—5 დე უსასყიდლოდ.

ქავქავაძის ქ. № 24. (7—205—1)


## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი 12 ოქტომბერს დაბრუნდა ყარსიდგან ტფილისს.

*** როგორც გაზ. „Нов. Об.“-ე იწერება, მომავალს კვირას ტფილისში თურმე ჩამოვა ტფილისის გუბერნატორათ ნამყოფი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფა მარიამ თეოდორეს ასულის სასახლის გოფმეისტერი თავ. გ. დ. შარვაშიძე.

*** განჯის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ლატციაიე სამსახურის საქმეთა გამო ტფილისში ჩამოვიდა.

*** ხვალ, 15 ოქტომბრიდგან, ქალაქის გამგეობის დარბაზში შეუდგებიან კენჭის ამოღებას ტფილისის მცხოვრებნი ის ყმაწვილი კაცნი, რომელნიც წელს არიან გაწვეულნი სამხედრო ბეგრის მოსახდელად. კენჭის ყრას დაიწყებენ დილის 8 საათიდგან. წელს გაწვეულია სულ 209 კაცი. კენჭის ამოღების დროს საკრებულოს თავმჯდომარედ იქნება ქალაქის მოურავი,

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ლევენფელდის სახალხო თეატრი ბერლინში.—სახალხო თეატრები სოფ. შლიერზეესა, კოხელსა და სხვაგან.—სახალხო წარმოდგენები საფრანგეთში.—საპარლამენტო არჩევანები ინგლისში.

ამ ბოლოს დროს ძალიან ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ სახალხო თეატრების, სახალხო წარმოდგენების შესახებ. ბევრგან რუსეთში და, სხვათა შორის, ჩვენშიაც გულ-მოდგინედ მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და შეუდგნენ იაფ-ფასიან ან უფასო წარმოდგენების გამართვას ხელ-მოკლე ხალხისათვის. ამიტომ, ვგონებ, ყველასათვის საინტერესოა იმის გაგება, თუ ევროპაში რა გააკეთეს ამ მხრივ.

სახალხო თეატრი თვით ევროპისთვისაც-კი ახალი საქმეა. სულ ათი-თხუთმეტი წელიწადი არ იქმნება, რაც აქა-იქ ასეთის თეატრების დაარსებასა და სახალხო წარმოდგენების გამართვას შეუდგნენ. ევროპაში ისეთი ქალაქი არ არის, სადაც ერთი ან რამდენიმე თეატრი არ არსებობდეს, მაგრამ ამ თეატრის კარები მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ხელ-მოკლეობისა გამო დახშულია.

დღემდე სახალხო თეატრებს შორის ყველაზედ მეტ ყურადღებას იქცევს ბერლინში ლევენფელდის მიერ დაარსებული თეატრი. ლევენფელდი წინად ბრესლავის უნივერსიტეტის პროფესორად იყო, მაგრამ პროფესორობას თავი მიანება, თავი მიანება აგრეთვე ჟურნალის გამოცემასაც და გულ-მოდგინედ შეუდგა თავისს იდეიის განხორციელებას—სამაგალითო სახალხო თეატრის დაარსებას.

„დღეს ბრძოლა არსებობისათვის ისე გამწვავდა, სწერდა ლევენფელდი, რომ ხალხთა უმრავლესობა მთელ თავისს დროს ლუკმა პურის შოვნას ანდომებს. დილით-საღამომდე ეს უმრავლესობა ოფლსა ჰღვრის, წელებზედ ფეხს იდგამს, მანქანასავით ერთსა და იმავე საქმეს ადგია, ხშირად იგი მზის სხივებსა და კარგ ჰაერსაც-კი მოკლებულია. ერთად-ერთი ადგილი, სადაც ასეთ ხალხს შეუძლიან თვალი გაახილოს, გაერთოს და ამავე დროს გონებაც აამოძრაოს, თეატრია“.

დარწმუნებულმა, რომ თეატრს დიდი აღმზრდელი და სოციალური მნიშვნელობა აქვს, ლევენფელდმა მხნედ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და უპირველეს ყოვლისა შეიმუშავა დაწვრილებითი გეგმა მომავალ სახალხო თეატრისა. უმთავრესი პრინციპი ამ თეატრისა ის იყო, რომ ყოველივე ხარჯი თვით წარმოდგენების შემოსავალს უნდა დაეფარა, მაგრამ ამავე დროს ადგილების ფასი იმდენად მცირე უნდა ყოფილიყო, რომ უკანასკნელ ღარიბსაც შესძლებოდა წარმოდგენებზედ დასწრება. ლევენფელდი სასაცილოდ აიგდეს, ოცნებობსო, მაგრამ ამ კაცმა ყურადღება არ მიაქცია ამას, ბევრის წვალებისა და მეცადინეობის შემდეგ 50,000 მანეთი შეჰკრიბა და ამ ფულით საქმეს შეუდგა. რადგანაც ახალის თეატრის ასაშენებლად საკმაო ფული არ იყო, ამიტომ ძველი დაიქირავა.

ლევენფელდმა წინდაწინვე გამოიანგარიშა, რომ ხარჯის დასაფარავად საჭირო იყო ჯერ ერთი წლის განმავლობაში 360 წარმოდგენა გაემართად, ე. ი. თითქმის ყოველდღე, მეორე—ყოველ წარმოდგენის დროს თეატრი სავსე ყოფილიყო. რათა თეატრი არასოდეს არ გამცდარიყო, ლევენფელდმა ამ ხერხს მიჰმართა. გამოსცა წიგნაკები თეატრის მნიშვნელობის შესახებ და ეს წიგნაკები გაავრცელა მუშებს შორის. შემდეგ მოელაპარაკა ბერლინის მუშათა კავშირების, კორპორაციების, კლუბების მეთაურებს და იმათ შემწეობით დააარსა „მუშათა სათეატრო კავშირი“. ამ კავშირს ერთად-ერთი აზრი ჰქონდა—წევრთათვის სავალდებულოდ გაეხადნა ორ კვირაში ერთხელ წარმოდგენაზედ დასწრება. ლევენფელდმა ისე დააინტერესა მუშები, რომ წარმოდგენების დაწყობამდე „სათეატრო კავშირში“ 6000 წევრი ჩაეწერა. წევრებს ნაკლებ ფასად ეთმობოდათ ბილეთები.

ბოლოს, რამდენისამე თვის მეცადინეობის შემდეგ, ლევენფელდმა მიიწვია საუკეთესო დასი და 1894 წლის 30 აგვისტოს პირველი წარმოდგენა გამართა (წარმოადგინეს შილლერის „ყაჩაღები“). ამ დღიდგან დაწყობილი აქამომდე ბერლინის სახალხო თეატრში წარმოდგენები არ შეწყვეტილა. ამასთან თეატრი ყოველთვის სავსეა ხოლმე. შემოსავალი არამც თუ ისტუმრებს ხარჯს, ლევენფელდმა ამ შემოსავლით წინანდელის ვალის ნაწილიც გაისტუმრა. ამას გარდა ოთხშაბათობით მოსწავლეთათვის უფასო წარმოდგენებიც იმართება.

ბილეთების ფასი მეტად მცირეა ამ სახალხო თეატრში—შაურიდგან დაწყობილი ათ შაურზედ მეტი არც ერთი ადგილი არა ღირს. რაც შეეხება პიესებს, ამ შემთხვევაში სახალხო თეატრის დირექცია განსაკუთრებულ „სახალხო“ პიესის არჩევას არასოდეს არ შესდგომია: ყველა კარგ პიესასა სდგამს დირექცია და, სხვათა შორის, შექსპირის, შილლერის პიესებსა და გიოტეს „ფაუსტსაც“-კი.

* * *

ბერლინის სახალხო თეატრის მაგალითმა სხვა ქალაქებიც წააქეზა და, როგორც სწერენ, ასეთის თეატრების დაარსებას ბევრგან სხვაგანაც შესდგომიან. მაგრამ გერმანიაში (უმთავრესად სოფლებში) სხვა გვარი სახალხო თეატრებიც არსებობს. ამ თეატრებში წარმოდგენებს თვით გლეხები და მუშები ჰმართავენ.

ბავარიის სამხრეთით მშვენიერ ტბის შლიერზეეს ნაპირზედ, ზედ მთის ძირში, მდებარეობს ამავე სახელის პატარა, მაგრამ კოხტა სოფელი. 1892 წელს შლიერზეეში ვინმე კონრად დრეერმა, კამენდატმა, მშვენიერი თეატრიააშენა. შემდეგ შეადგინა გლეხებისაგან დასი და წარმოდგენების გამართვას შეუდგა. გლეხებმა ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინეს, რომ დრეერმა თავისის დასით მთელი გერმანია შემოიარა, შემდეგ იგი ამერიკაშიაც-კი იყო. ყველგან ხალხი აღტაცებაში მოდიოდა გლეხების თამაშობით.

დღეს შლერზეეში წარმოდგენები ხუთშაბათობით და კვირა-უქმეობით იმართება. როგორც საზოგადოება, აგრეთვე არტისტები შლიერზეეს და მახლობელ სოფლების მცხოვრებნი არიან. სოფლელნი ისე შეეჩვივნენ თეატრს, რომ უიმისოდ გაძლება აღარც-კი შეუძლიანთ. აღგენენ მხოლოდ ისეთ პიესებს, სადაც სოფლის ცხოვრებაა აწერილი. რადგანაც ამ

ხილო წევრებად: სამხედრო უწყებიდგან — პოდპოლკოვნიკი ქლენტი, ქალაქის თვით-მართველობისაგან ბ-ნი ოღნისუმოვი და ბუდდანოვი, პოლიციის წარმომადგენლად — მეოთხე განყოფილების ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი — დუშინსკი და ორი მკურნალი, ერთი ქალაქის და მეორე სამხედრო უწყებისაგან.

* * ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს, გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, სხვა და სხვა საქმეების განსახილველად. კომისიამ პირველად განიხილა მცირე კომისიის მოხსენება ვერაზედ არსებულ ირაკლის სახელობის პირველ-დაწყებით სკოლის მდგომარეობის შესახებ და დაადგინა: 1) გაუმჯობესებულ იქმნეს ამ სასწავლებლის მესამე კლასის მდგომარეობა, 2) დაევალოს სასწავლებლის სადგომის პატრონს დაუთმოს სკოლას ბალი და აგრეთვე შეასრულოს ხელშეკრულობის მოთხოვნილებანი, 3) ხელშეკრულობის ვადის გასვლამდე მოიძებნოს ამ სკოლისათვის ახალი სადგომი. შემდეგ კომისიამ უარჰყო მთაწმინდის სკოლის გამგის ბ-ნ ალნიაშვილის თხოვნა ამ სკოლის გაფართოვების და გადიდების შესახებ. დასასრულ კომისიამ შეიწყნარა განცხადებანი სახალხო წარმოდგენების სექციისა და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ორის უფასო სამკითხველოს მართველის ქ-ნ ა. მ. თუმანიშვილ-წერეთლისა იმის შესახებ, რომ დახმარება აღმოეჩინოს სახალხო თეატრსა და სამკითხველოებს. კომისიამ დაადგინა მისცეს სახალხო წარმოდგენის სექციას 500 მ., ხოლო წ. კ. საზ. სამკითხველოებს 200 მ.

* * ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობისა და ხმოსან ტეხნიკოსთა შეერთებულმა კრებამ განიხილა ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის მიერ წარდგენილი პროექტი ქალაქის ელექტრონის რკინის გზისა. კრებამ დაადგინა დაევალოს ტეხნიკოსთაგან შემდგარ კომისიას წერილობითი მოხსენება შეადგინოს ამ საქმის შესახებ და წარუდგინოს ქალაქის გამგეობას დღევანდელ სხდომაზედ, რომელზედაც მოწვეულ იქმნებიან აგრეთვე უსახელო საზოგადოების დირექტორი ბ-ნი რომბი და ქალაქის ინჟინერი და ტეხნიკოსები.

* * ხვალ, 15 ოქტომბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კრება იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, რომელთაც თანხმობა განაცხადეს კავკასიის მომავალ 1901 წლის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღონ. კრებას უმთავრეს განსახილველ საგნად ექმნება სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამა. ეს პროგრამა განხილვის შემდეგ წარედგინება კავკასიის მთავარ-მართებელს.

* * სამშაბათს, 17 ოქტომბერს, დიდის მთავრის ქუჩაზედ, ნაშუადღევის 1 საათზედ შეუდგებიან ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიისათვის შენობის აგებას. ამ დღეს საძირკველს ჩაჰყრიან და აკურთხებენ.

* * როგორც ოდესსის გაზეთები იუწყებიან, ტყიბულის ქვა ნახშირის გამგეობას მიუმართავს სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის რკინის გზათა საზოგადოებისათვის, რომ შეგვიძლიან 50 მილიონი ფუთი ქვა ნახშირი მოგცეთო. სანიმუშო ნახშირი უკვე მიუტანიათ ოდესსაში.

* * კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება ორშაბათს, 16 ოქტომბრისათვის, არის მოწვეული საღამოს 7 საათზედ. მიმდინარე საქმეთა გარდა, კრება მოისმენს: მ. ნ. კიმონტის მოხსენებას „შემთხვევა „Macrodactil“-ისა დაუჩვენებს ავადმყოფს, შემდეგ მოხსენებას მ. ა. გედევანიშვილისას: „Gemiatrophia lingualis“ (ავადმყოფის ჩვენებითვე) და დასასრულ მკურნალი გ. ი. თამამშევი წაიკითხავს მოხსენებას „სმენის ორგანოს ფუნქციის გამოკვლევათა შესახებ“.

* * ტფილისის საბადოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოცდა ორს ოქტომბერს დასრულდა. კურსი დაამთავრა სულ 16 მოწაფემ ამათგან ცხრა ქართველი და შვიდი სომეხია. აი ქართველების გვარები:

ევსევი ბერიტაშვილი, მიხეილ გამყრელიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, ალექსანდრე ქურდოვანიძე, გედევან ქუთათელაძე, ვლადიმირ ციციშვილი, გიორგი სარაჯიშვილი, გიორგი როსტომაშვილი და ნიკო ცისკარაშვილი.

* * პარასკევს, 13 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე დუშეთის მაზრის სოფელ სარის მცხოვრების გლეხის ვასილ ალექსის ძის პილიშვილისა, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ წარსულს წელს ერთის კაცისა და ერთის ქალის მოკვლა განიზრახაო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო იგი და დაადგინა: ჩამოერთვას ყოველივე უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს პატიმართა გამასწორებელ რაზმში წლითა და ნახევრით.

* * როგორც ზესტაფონიდგან გვატყობინებენ, 28 სექტემბერს ამორჩეულს კაცებს ადგილობრივ მცხოვრებთა კრება მოუწვევიათ და წაუკითხნიათ თხოვნა, რომელიც მთავრობისათვის უნდა მიერთმიათ, რომ ზესტაფონი „პოსადათ“ გადაკეთდეს „შორაპნისა“ ან-და „შორაპანყვირილას“ სახელით, მაგრამ ერთის კაცისა გარდა ხელი ყველას აღარ მოუწერია თხოვნაზედ და ჯერ-ჯერობით საქმე ისევ ჩაშლილა.

* * საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო-სამრევლო სკოლებისა და წერა-კითხვის სკოლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებლად სასულიერო უწყებას განზრახვა თურმე აქვს ტფილისში (ხარფუხში) უმაღლესი საეკკლესიო-სამასწავლებლო სკოლა ანუ საეკკლესიო-სამასწავლებლო ინსტიტუტი დააარსოს. აღნიშნულს სკოლას თავისი ფერმა და ბაღი ექმნება, სადაც მოსწავლენი სასოფლო-სამეურნეო კულტურას საფუძვლიანად შეისწავლიანო, სწერს გაზ. „Т. Л.“

* * ქალაქის საყასბოს მეხაშეებისა და ყასბების მიერ წარდგენილ შუამდგომლობის შესახებ, რომლითაც იგინი კვირაობით დასვენებას თხოულობდნენ, ქალაქის საყასბოს ადმინისტრაციას ქალაქის საბჭოს წინაშე ის აზრი გამოუთქვამს, რომ, თუ სავსებით არა, 1-ლ ოქტომბრიდგან 1-ლ აპრილამდე მაინც საჭიროა უთუოდ კვირაობით თავისუფლება მიეცეთ ყასბებსა და მეხაშეებსაო. ადმინისტრაციის აზრით ეს წესი ხორცით ვაჭრობაზედ არავითარს ცუდს გავლენას არ იქონიებს, რადგანაც ყასბებს ადვილად შეუძლიანთ შაბათობით ორის დღის საკმარი ხორცი დაამზადონო. ქალაქის მოურავმა ამ საგნის გამო უფროსს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს მიჰმართა და სთხოვს, რომ თითონ ხორცით მოვაჭრეთაც დაეკითხნენ, შესაძლებელია თუ არა, რომ ყასბებმა ორის დღის საკმარი ხორცი შეამზადონ შაბათობით.

* * როგორც კავკასიის რკინის გზის სადგურ წიფადგან იუწყებიან, 11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, იქამდის ძლიერი მიწის ძვრა მომხდარა იქ, რომ სადგურის შენობა რამდენსამე ადგილას დამსკდარა.

* * პატივცემულ ქართველ კათოლიკეთა მოძღვარს გაბრიელ ასლანიშვილს განუზრახავს ქართულს ენაზედ დასტამბოს საყოველდღიურო ლოცვის წიგნი, რომელიც ადრე რამდენ გზისმე გამოიცა და დღეს იგი აღარ მოიპოვება და საჭიროება-კი დიდი არის.

* * სოფ. მერეთი. 11 ოქტომბერს, დილის 5 საათზედ, გაუფრთხილებლობისა გამო ცეცხლი წაეკიდა გიგო ფურცელაძის საწნახელს. იქვე დაიწვა სიმინდი. ზარალი საკმაოდ საგრძნობელია და სამწუხარო, რომ ადამიანს, გაუფრთხილებლობისა გამო, პირიდგან ლუკმა ეცლება. კიდევ კარგი, რომ პოლიცია მალე მოეშველა და ხალხიც ჯერ არ გასულიყო სამუშაოდ, თორემ თუ ხალხს გაესწრო მინდორში, მაშინ მათი შეკრება ისე ადვილი აღარ იქნებოდა, ცეცხლი სასოფლო ბეღლს წაეკიდებოდა და მთელი სოფელი გადაიბუგებოდა.

* * ქიზიყი. ღვინის მოსავალი აქაც ძალიან ნაკლებად იყო, რადგანაც ზოგიერთი ადგილები სამჯერ დაისეტყვა და ქიზიყელებმაც, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, უამინდობის გამო ვერ უწამლეს ვენახებს. ღვინო საპალნე 100—150 მ. ჰფასობს. სიმინდის მოსავალი საშუალოზედ მეტია. წარსულს ივლისში კოდი პური (3 ფუთია) 2 მ. იყიდებოდა, ეხლა 3 მანათამდე აიწია. თამბაქო შარშანდელზედ მეტი მოვიდა და წელს გაცილებით კაი ღირსებისაც იქნება, რადგანაც დარიანობამ ხელი შეუწყო და რიგიანად გამოშრა. დიდს აღმართს დიდი დაღმართიც მოსდევსო და ეს ანდაზა ჭვავის თვისებაზედაც ზედგამოჭრილი ყოფილა. გაზაფხული და ზაფხული თუ საშინელი წვიმიანი იყო, ისე მიდის შემოდგომა, რომ „დაწკრეტილ ცას“ ნამი აღარა ვარდება. ხანგრძლივ გვალვების გამო ქიზიყის შორით-შორამდე გადაჭიმული მთა ბარი მოტიტვლებულია უბალახობით და შავად გარუჯულ კაჭაჭ-კუჭაჭით-და იკვებება მინდვრად გუთნის საქონელი და აზატი

---

იარ-სამ წელიწადში ასეთი თეატრი ბევრ სხვა სოფელშიაც დაარსდა, ახალი დრამატურგებიც გაჩნდნენ, რომელნიც მხოლოდ ამ გვარ თეატრებისათვის სწერენ პიესებს; ასე რომ დღეს სახალხო თეატრს გერმანიაში საკმაო რეპერტუარი აქვს.

ბევრად უფრო საყურადღებოა სოფელ კოხელის თეატრი. აქ თეატრი თვით სოფლელთ დააარსეს და, ასე გასინჯეთ, პირველი პიესაც-კი კოხელთავე გლეხმა შეადგინა. კოხელი ისტორიული სოფელია. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ავსტრიელებმა დაამარცხეს ბავარიის მეფე, განდევნეს იგი სამეფოდგან და ბავარია თვით შეიერთეს. ავსტრიელნი ისე ცუდად ექცეოდნენ დამორჩილებულთ, რომ ხალხმა გადასწყვიტა სამშობლოს განთავისუფლება. მამულიშვილებმა პლინგანზერმა და იეგერმა შეთქმულება მოახდინეს და აჯანყება დაიწყეს. შეთქმულნი აჯანყებამდე კოხელში იკრიბებოდნენ. ამ სოფელში სცხოვრობდა ერთი ღარიბი მჭედელი ბალტაზარი, — მამაცი, გამბედავი და გულადი კაცი. ბალტაზარმა კოხელსა და მახლობლად მდებარე სოფლებში მოჰკრიბა 5000 მთიელი; ამ რაზმით იგი მიუნჰენისაკენ გაემართა ამ ქალაქის განსათავისუფლებლად. 1705 წელს, სწორედ აღდგომა დღეს, მთიელნი მჭედლის ბალტაზარის წინამძღოლობით მიუნჰენთან მივიდნენ. აქ უნდა შეერთებულიყვნენ ბალტაზარის მეომარნი და ერთი სხვა რაზმი, 7000 კაცისაგან შემდგარი, მაგრამ შეთქმულნი შტარნბერგერის მამასახლისმა ეტლინგერმა გასცა და მებრძოლნი ვერ შეერთდნენ. კოხელის რაზმს სენდლინგენის სასაფლაოზედ ორჯელ მეტ მტერთან მოუხდა ბრძოლა. მთიელნი დამარცხდნენ, მაგრამ ბალტაზარმა ამ ბრძოლაში იმდენი ვაჟკაცობა და მამაცობა გამოიჩინა, რომ მჭედელი საერო გმირად გარდაიქცა. კოხელში გლეხები დღესაც უჩვენებენ მგზავრებს ერთ ძველ სამჭედლოს, სადაც, მათის სიტყვით, ოდესღაც გმირი მჭედელი მუშაობდა.

1882 წელს კოხელებმა განიზრახეს პატივი ეცათ თავიანთ გმირის ბალტაზარ მაირის ხსოვნისათვის. ბევრი იფიქრეს, ბევრი ითათბირეს გლეხებმა, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს როგორ და რანაირად ეცენ პატივი გმირის ხსოვნას. ბოლოს ამ საქმის მოწყობა იკისრა ერთმა გლეხმა ხელობით მეწისქვილემ, რომელიც მეორე დღესვე შეუდგა პატრიოტულ პიესის წერას ამ სათაურით „სენდლინგენის ბრძოლა ანუ კოხელი მჭედელი“. პიესა სამაგალითო გამოდგა. პიესის უმთავრესი გმირი მჭედელი ბალტაზარია. სხვა მომქმედ პირებად ავტორმა-გლეხმა თავის პიესაში გამოიყვანა მოღალატე მამასახლისი, კოხელის სასტუმროს პატრონი — მოხუცი გლეხი, იმისი ახალგაზდა შვილი, მიუნჰენის გუბერნატორი, ავსტრიისა და ბავარიის ჯარი და სხვანი. ამ პიესაში არც ერთი ქალის როლი არ არის.

პირველად კოხელმა გლეხებმა ეს პიესა სოფლის სასტუმროში წარმოადგინეს; მაგრამ შემდეგ ხის თეატრი აიშენეს და ეხლა იქ ადგენენ, როგორც ამას, აგრეთვე სხვა პიესებს. ასე გაჩნდა ამ სოფელში თეატრი. კოხელებს მეწისქვილის პიესა პირველადვე ძალიან მოეწონათ. ამ პიესის წარმოდგენას ყოველთვის აუარებელი ხალხი ესწრებოდა და ეხლაც ესწრება, თუმცა სოფლელი არტისტები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სცენის კარგად მოწყობას, ტანისამოსს და სხვას. ჯარისკაცებს, მაგალითად, ეხლანდელი მუნდირები აცვიათ.

როგორც ზემოდა ვთქვით, ამ ბოლოს დროს სახალხო წარმოდგენები ძალიან გავრცელებულია გერმანიაში. იშვიათია ეხლა იქ ისეთი მოზრდილი სოფელი, სადაც თვით გლეხებმა წელიწადში ერთხელ მაინც არ გამართონ წარმოდგენა.

* * *

ასევე მოიკიდა ფეხი სახალხო წარმოდგენამ საფრანგეთშიაც. პირველად იქ სახალხო წარმოდგენა მორის პოტეშემ გამართა. პოტეშემ ამისათვის პატარა ქალაქი ბიუსსანი აარჩია. ექვსი-შვიდი წელიწადია უკვე, რაც ამ ქალაქში სახალხო თეატრია და მუშები და გლეხები ისე მიეჩვივნენ, რომ შორეულ სოფლებიდგანაც-კი იკრიბებიან. პოტეშე ერთსა და იმავე დროს დირექტორიც არის თეატრისა, რეჟისორიც, დრამატურგიც და ზოგჯერ არტისტიც. თეატრი ქალაქს გარედაა. პირველი წარმოდგენა პოტეშემ ცის ქვეშ გამართა, მთის ძირში, პატარა მაღლობზედ. გორები და მთები საუკეთესო დეკორაციას შეადგენდნენ ამ თეატრისათვის. თეატრი, ე. ი. განსაკუთრებული შენობა დღესაც არ არსებობს იქ. პოტეშემ მხოლოდ სცენა გადახურა, მაყურებელნი-კი ცის ქვეშა სხედან, მინდორზედ. დასი მუშებისა, ხელოსნებისა და გლეხებისაგან შესდგება; ყველანი დიდის სიყვარულით ეკიდებიან თურმე საქმეს. ადგენენ ისეთ პიესებს, რომელთა შინაარსიც სოფლის ცხოვრებიდგან არის აღებული. ცეკვა-თამაში და სიმღერა თითქმის ყველა პიესაშია.

ორის წლის წინად ერთმა უბრალო მუშამ მშვენიერი ორკესტრიც-კი გააწყო ამ სცენისათვის. პოტეშეს დახმარებით მუშამ შეიძინა საკრავები, შემდეგ შეჰკრიბა თხუთმეტიოდე მუშა და შეუდგა სამუსიკო პიესების სწავლას.

1897 წელს პუატის ერთ პატარა ქალაქში ერთის ადგილობრივის პოეტის პატივ-საცემად ვინმე პიერ კორნელიმ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენა გამართა. წარმოდგენა უფასოა იყო და მხოლოდ რამდენიმე კაცი იქმნა მიწვეული. მაგრამ რამწამს ხმა გავრცელდა, რომ ძველ დანგრეულ კოშკში (ქალაქის მახლობლად ძველი კოშკი იყო და კორნელიმ იქ გამართა წარმოდგენა) წარმოდგენასა ჰმართავენო, მახლობელ სოფლებიდგან აუარებელი ხალხი შეიკრიბა. მეტად კმაყოფილი დაბრუნდნენ სოფლელნი ამ წარმოდგენიდგან.

პირველმა შემთხვევითმა წარმოდგენამ ისე გაამხნევა კორნელი, რომ განსაკუთრებით ხალხისათვის შეუდგა წარმოდგენების გამართვას და არტისტებადაც გლეხები და მუშები მიიწვია. მეორედ კორნელიმ წარმოდგენა ქალაქისავე მახლობლად ერთ პატარა ხეობაში გამართა. 4000 კაცზედ მეტი დაესწრო ამ წარმოდგენას. ბოლოს კორნელი სისტემატიურად შეუდგა სახალხო წარმოდგენების მართვას. კორნელი ისეთ პიესებს ადგენს, რომელთა შინაარსიც ან საღმრთო ისტორიიდგანაა აღებული, ან კიდევ სოფლის ცხოვრებიდგან. არავითარი დეკორაციები და მოწყობილებანი არა აქვს. ამ მაგალითებით გამხნევებულთ ბრეტანსა და სხვაგანაც შეუდგნენ სახალხო წარმოდგენების მართვას და ეხლა რამდენგანმე შეჰხვდება კაცი სახალხო თეატრს, სადაც პიესებს თვით გლეხები და მუშები ადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძროხა. უფრო კი ძალიან უჭირს ცხვარს, რომლისათვისაც ნედლი ბალახი სრულიად გამქრალია. დროული კაცები ამბობენ: დიდი ხანია, აღარ გვინახავს ეგეთი ხმელობაო. თუ კიდევ რამდენიმე კვირა ასეთმა გვალვამ გასტანა, წესრიგიანად არ დაითვარცხება გაგოხებული ბელტი და ფრინველი და ჭიაღუა გაანახევრებს ნახნავებში თესლს. როგორც სჩანს, ცუდი დღე დაადგება ამ ზამთარს ქიზიყისა და თუშ-ფშაველთა დიდ-ძალ ცხვარს, რომელიც ჯერ ისევ ნამთევშია და იტანს უბალახობას. საკლავის ფასმა აიწია. ძვირია წელს მუშა საქონელიც და საყოლი ძროხაც. შესამჩნევად მოიმატა მუშა ხალხის დღიურმა, თვიურმა და წლიურმა ფასმაც, რადგანაც მეურნეობა და მრეწველობა თვალსაჩინოდ გაფართოვდა ქიზიყში ამ ბოლოდროს.

*** ორის უკანასკნელის დღის განმავლობაში პოლიციის მე-5 ნაწილში, ქალაქის ექიმის ბ-ნ მალალაშვილის შემოწმებით, ავად გამხდარა ყელჭირვებით და გარდაცვლილა ერთი ბავშვი.

## წერილი ხევიდგან.

საქართველოს სამხედრო გზაზედ ტფილისისა და კავკავისკენ მიმდინარე ხალხის ყურადღებას ბევრი შესანიშნავი ადგილი იპყრობს; ამათში ზოგი სიმაგრეა, ზოგი ეკკლესია, რომლებიც ძველს დროში უშენებიათ ჩვენს წინაპრებსა. ერთი ასეთი ძველი დროის ნაშთთაგანი სოფელ გერგეთის თავზედ არის მყინვარის კალთაზედ აშენებული და ეწოდება სამების ეკკლესია, რომლის აშენებასაც ისტორია და ხალხური გარდმოცემა ვახტანგ გორგასლანის მეფობის დროს მიაწერს. მნახველი განცვიფრებაში მოდის, როდესაც ამ მიუვალის მთის მწვერვალზედ აგებულს დიდებულს ტაძარს უყურებს და ყველას აკვირვებს ის გარემოება, თუ რა ღონის-ძიებით მიუზიდნიათ იქამდის საშენი მასალა და სხვა. ამის შესახებ ხალხური გარდმოცემა ამბობს, რომ ასაშენებელი ქვა და მასალა უზიდნიათ ერთი უღელი ხარით, რომელთაც სახელად დევ-წიქარანი რქმევიათ, ხოლო წყალს მუშა კალატოზებს უზიდავდა პატარა მწყემსი, რომლის გამოქანდაკებული სახეც სამრეკლოს ერთს ქვაზეა ახლაც. ეს შესანიშნავი ეკკლესია ამ ჟამად ისეთს მდგომარეობაშია, რომ შიგ ცოტა ხნის შემდეგ წირვა-ლოცვაც აღარ იქნება შესაძლებელი, სიძველისა გამო ინგრევა და წვიმის დროს წყალიც ჩადის შიგ. ამ ეკკლესიის დღესასწაული წელიწადში სამჯერ არის ხოლმე, სახელდობრ, სამებობას, ე. ი. აღდგომის მესამე დღეს, ფერისცვალებასა და მარიამობას, ე. ი. 6 და 15 აგვისტოს. ამ ეკკლესიის სალოცველად ყველა მხრიდგან მოდის ხალხი, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, მაგრამ ყველაზედ მომეტებულად რუსობა ეტანება. ამის გამო ეკკლესიას მცირეოდენი შემოსავალიც აქვს და ფულიც საკუთრებათ. თვითონ ს. გერგეთი და ახლო-მახლოდ მცხოვრებნი ძალიან გულით არიან მოწადინებულნი, რომ როგორმე შეაკეთონ, მაგრამ იმდენი ღონე თითონ არ შესწევთ, რომ სხვის დაუხმარებლად გააკეთონ. თავის დროზედ განსვენებული ა. ყაზბეგიც შუამდგომლობდა საქართველოს ექსარხოსთან, როდესაც რუსეთიდგან ამოიარა მათმა მეუფებამ; ყაზბეგის სადგურში დაჰხვდა განსვენებული ალექსანდრე და აუხსნა ყველა საჭიროება, რაც კი იყო. იქამდის იქონია ამან გავლენა, რომ მათმა მეუფებამ მოისურვა ასვლა და ადგილობრივ დათვალიერება, მაგრამ რომ შეიტყო, კარეტით-კი არა, ცხენითაც ცუდი ასასვლელიაო, უსიამოვნოდ დარჩა, რომ ვერ ავიდა სანახავად და შემწეობას დაჰპირდა ეკკლესიის შეკეთებისათვის. წარსულს ზაფხულს რუსეთიდგან სააგარაკოდ ჩამოვიდა გენერალი გ. ნ. ყაზბეგი და რამდენიმე ხანი დაჰყო აქ, ავიდა ტაძრის დასათვალიერებლად, ეკკლესიას ათი თუმანი შესწირა და დაჰპირდა სოფლელებს, თხოვნით ვცდები, სადაც ჯერ არს, რომ შემწეობა აღმოგიჩინოთ. ამ საქმეს მაზრის უფროსი ბ-ნი მესხიევიც ხელს უწყობს და დახმარებას ჰპირდება, მაგრამ მაინც საქმეს ჯერ არა ეშველა-რა. წელს მობრძანდა ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი ბ-ნი მამინეიშვილი ს. სნოს ახლად დაარსებულ სკოლის კურთხევაზედ დასასწრებლად; სკოლის შენობის კურთხევის დროს ბლომად შეიკრიბა საზოგადოება, სადაც დამსწრე საზოგადოებას განუმარტა სკოლის მნიშვნელობა და მომავალი; საზოგადოება ამით დიდად ნასიამოვნები დარჩა და ამბობდნენ, რომ ეს დღე შესანიშნავი დღეა ჩვენთვის და, უეჭველია, ჩვენი ხალხის საქმე წინ წაიწევსო. ბ-ნი მამინეიშვილი, როგორც საზოგადოებაში ცნობილი და ყოველს ამგვარს საქმეში გულშემატკივარი და ხელის მომმართველი ახალგაზრდა, ეჭვი არ არის, ამ ჩვენს წინაპრისეულს ეკკლესიასაც მიაქცევს ყურადღებასა და იზრუნებს შეგვაძლებინოს როგორმე მისი შეკეთება. ჩვენი ხეობა ათას კომლამდე მცხოვრებს შეიცავს და, იმედია, რომ არავინ დაიშურებს წვლილს, რომ ამ კეთილსა და დაუვიწყარს საქმეს დროზედ ეშველოს რამე, ვიდრე დროთა ვითარებისა გამო სრულიად არ მოოხრებულა.

ბ. ღუდუშაური

## რუსეთი

მალე პეტერბურგში დაარსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად ექნება რუსეთის განაპირა ადგილებში მცხოვრებ უცხო ერთა შორის განათლება გაავრცელოს. აღნიშნულს საზოგადოებაში წევრობა შეუძლიან ყველას, წოდების განურჩევლად, ვინც-კი უცხო ერთა შორის განათლების გავრცელებას თანაუგრძნობს.

— გზათა სამინისტროში ამ ჟამად იმ კითხვის განხილვაში არიან, რომ რუსეთის რკინის გზის ყველა სადგურებზედ ერთნაირად გადაახდევინონ ხოლმე ფასი იმ საქონელზედ, რომელიც მამღების უარის თქმისა გამო, საჯარო გაჭრობით ისყიდება.

— „მთავრობის კანონდებათა კრებულის“ № 115-ში გამოქვეყნებულია ახალი ინსტრუქცია პოლიციის მოხელეთა მიმართ, რომლითაც მათ ევალებათ ფაბრიკებსა, ქარხნებსა და კერძო სამთო ქარხნებსა და სამრეწველოებში წესიერების დაცვას თვალ-ყური ადევნონ.

— 9 ოქტომბერს შეუსრულდა 50 წელიწადი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის მოძღვარის პროტოპრესვიტერის ი. ლ. იანიშევის სამეცნიერო-საპედაგოგო და საეკკლესიო-საზოგადო მოღვაწეობას. მამა იანიშევი კალუგის გუბერნიაში დაიბადა 1826 წ. 1850 წ. იგი ღვთისმეტყველობის მაგისტრათ იქმნა ცნობილი, ხოლო იმავე წლის 9 ოქტომბერს ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში იქმნა დანიშნული საფიზიკო-სამათემატიკო მეცნიერებათა ბაკალავრათ. 1851 წ. მღვდლათ იქმნა ნაკურთხი და ვისბადენში დანიშნეს რუსთ-ეკკლესიის წინამძღვრათ. 1856 წ. ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში დანიშნეს ღვთის-მეტყველებისა და ფილოსოფიის პროფესორათ, ხოლო 1858 წელს უწმ. სინოდის ბრძანებით ხელ-ახლად დანიშნულ იქმნა ბერლინის რუსთ ეკკლესიის, ხოლო შემდეგ ისევ ვისბადენის ეკკლესიის წინამძღვრათ, რომელ ადგილზედაც 1864 წლამდე დაჰყო. 1864 წელს კოპენჰაგენში იქმნა მიწვეული, რომ რუსეთის ტახტის მემკვიდრის საძლო პრინცესსა დაგმარასათვის, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისათვის, საღმრთო სჯული ესწავლებინა. 1866 წ.—1883 წლამდე მხცოვანი იუბილარი ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორათ იყო. მამა იოანნე ლეონტის ძემ იანიშევმა თავისს მოღვაწეობის დროს სასულიერო აკადემიასთან საყოველთაო სასულიერო ჟურნალი „საეკკლესიო მოამბე“ დააარსა და 1883 წლიდგან მათის უდიდებულესობის მოძღვრათ იქმნა მიწვეული.

— როგორც 6 სექტემბერს პეტერბურგში მომხდარ ეკონომისტთა კრებაზედ ბ-ნის დ. ნ. ბოროდინის მიერ წაკითხულ მოხსენებიდგან სჩანს, ციმბირის უდიდეს გზიდგან, რომელზედაც 500,000,000 მან. დახარჯული და კიდევაც დაიხარჯება 280,000,000 მან., ზარალის მეტს არაფერს არ უნდა მოველოდეთ. შემდეგ მოხსენებას რუსეთისა და ჩინეთის ვაჭრობის შესახებ ბ-ნი ე. ვ. რაპპი წაიკითხავს.

— ომიანობის გამო შეწყვეტილი რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან აღმოსავლეთში გადასახლება ხელ-ახლად დაიწყო.

— პეტერბურგში არსდება სრულიად რუსეთის აღმომჩენთა დამხმარებელი საზოგადოება. საზოგადოების წესდებისა თანახმად, წევრებს დროებით სესხი მიეცემათ აღმოჩენის პატენტის გირაოთი, საზოგადოებავე ეცდება წევრის აღმოჩენას გზა მისცეს და შემსყიდველი უშოვოს, შეიტანოს ცხოვრებაში სამრეწველო ტეხნიკის განკარგულებანი და სხ.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** გაზეთ „Allgem. Zeitung“-ში შემდეგი საყურადღებო დეპეშაა დაბეჭდილი: „ნამდვილის წყაროდგან შევიტყე, რომ რუსეთის მთავრობის წინადადება პეკინის ევაკუაციის შესახებ შემდეგ მიზეზებისა გამო იქმნა გამოწვეული. თავისის აგენტების წყალობით რუსეთის მთავრობამ გაიგო, რომ ჩინეთის იმპერატრიცა ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჰფიქრობს სატახტო ქალაქის გადატანას პეკინიდგან შუაგულ ჩინეთში. იაპონიასთან ომმა

---

ამ ბოლოს დროს პარიჟშიაც განიზრახეს ღარიბთათვის უფასო თეატრის დაარსება. ასეთის თეატრის პროექტი შარშან შეიტანეს ქალაქის საბჭოში. პროექტი მეტად საყურადღებოა. სულ ამ პროექტის განსახორციელებლად ქალაქს 15—20 ათასი მანეთი დასჭირდება წელიწადში. პროექტის აზრით წარმოდგენები ერთს ადგილას არ გაიმართება. პარიჟი დღეს 20 ნაწილად არის გაყოფილი და თვითეულ ნაწილში ცალკე უნდა გაიმართოს წარმოდგენა. თეატრის მაგიერობას ქალაქის სკოლები გასწევენ. ქალაქის თვითმმართველობამ უნდა დაიქირაოს მსახიობთა დასი, შეიძინოს დეკორაციები და საზოგადოდ თეატრისათვის საჭირო ნივთები. დასი წარმოდგენებს შაბათობითა და კვირაობით გაჰმართავს, ერთს—შაბათს საღამოთი, მეორეს—კვირას დილით, მესამეს—კვირა საღამოთი, ასე ჯერ-ჯერით ყველა სკოლაში. დასის ჯამაგირების მეტი ქალაქს თითქმის არავითარი ხარჯი არ ექმნება. ამ წარმოდგენებს, როგორც გამოანგარიშებულია, წელიწადში 60,000 კაცამდე დაესწრობა.

* * *

ინგლისში უკვე დასრულდა საპარლამენტო არჩევანები. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დეპუტატებად არჩეულ იქმნენ: 22—ბანკირი, 116—ვექილი, 23—ლუდისა და არყის ქარხნის პატრონი და ღვინის ვაჭარი, 10—ინჟენერი, 17—ქვა-ნახშირის და სხვა მადნის პატრონი, 17—დიპლომატი და მოხელე, 2—ხუროთ-მოძღვარი და ბუჰალტერი, 15 ფერმერი და აგრონომი, 65—მდიდარი მემამულე, 18—რკინეულობის ქარხნის პატრონი, 52—სხვა ქარხნის პატრონი, 13—შრომის წარმომადგენელი, 9—მკურნალი, 44—ვაჭარი, 40—მინისტრი და მინისტრად ნამყოფი, 33—გაზეთის გამომცემელი და ჟურნალისტი, 4—მესტამბე, 18—გემის პატრონი, 7—ბირჟის მაკლერი, 13—მეწვრილმანე, 13—პროფესორი და მასწავლებელი და სხვანი, სულ 603 კაცი. სამხედროთაგან არჩეულ იქმნა 63 კაცი: 1—გენერალ-ლეიტენანტი, 19—პოლკოვნიკი, 7—პოდპოლკოვნიკი, 7—მაიორი, 20—კაპიტანი, 5—პორუჩიკი, 2—ფლოტის კაპიტანი და 2—ფლოტის ლეიტენანტი.

აგიტაცია წელსაც, როგორც წინა არჩევანების დროს, ძლიერი იყო. ყველა კანდიდატი სცდილობდა მეტი მომხრე მოეპოვებინა და მეტოქე დაემარცხებინა. ამისათვის არავითარ ხერხსა და ხრიკს არ ერიდებოდნენ. ხშირად ლიბერალთა და კონსერვატორთა გაზეთები ერთმანეთს უსაყვედურებდნენ, უმართებულო საშუალებებს ხმარობთ არჩევნების დროსაო; თუმცა ამ საქმეში არც ერთი დასი არ აკლებდა ხელს.

გაზეთი „Times“-ი სასაცილოდ იგდებდა რადიკალთა კანდიდატს ლოგაუს. ეს კანდიდატი სწორედ არჩევანების დროს გამხდარა ავად. მეგობრებმა სხვა რომ ვერაფერი გააწყეს, ავადმყოფი თავის ლოგინით ხალხით სავსე დარბაზში შეიტანეს თურმე, სადაც ლოგაუს ხმის კანკალით სიტყვა წარმოუთქვამს და მსმენელთა გული მოულბია. გაზეთი იგონებს, რომ ამავე კანდიდატმა წინა არჩევანების დროს პატარა ოთახი გამართა თვლებზედ, შეაბა შიგ ოთხი ცხენი და სოფლიდგან სოფელში გადადიოდა სიტყვის წარმოსათქმელად. არც კონსერვატორები აკლებენ. ნორტჰამპტონში მათ განცხადება გააკრეს, რომელშიაც სწერდნენ, ვინც ლიბერალთა კანდიდატს თეთრ კენჭს ჩაუგდებს, ის სამშობლოს ზურგს მიჰყიდისო. იმავე ნორტჰამტპონში კონსერვატორებმა კედლებზედ სურათები გააკრეს. სურათებზედ დახატული იყო ლაბუშერი (ლაბუშერი დიდი წინააღმდეგი იყო სამხრეთ-აფრიკის ომისა და საზოგადოდ ჩემბერლენის პოლიტიკისა), რომელსაც ზურგით სამეფო ტახტი მიჰქონდა კრიუგერისათვის.

ერთის კანდიდატის მეგობარმა კიდევ ამ გვარი ხერხი იხმარა. მესაათესაგან მრავალი იაფ ფასიანი საათი იყიდა. შემდეგ იმ უბანში დაიწყო სიარული, სადაც მუშები სცხოვრობდნენ. ვინც შეჰხვდებოდა, ჰკითხავდა: „რომელი საათიაო“. უმეტეს ნაწილად ერთი და იგივე პასუხი ესმოდა: „საათი არა მაქვსო“.—„ნუ-თუ მართლა არა გაქვთ საათი!—შეჰყვირებდა ხოლმე ამის გაგონებაზედ კანდიდატის მეგობარი.—ასეთი უსამართლობა და სიღარიბე მხოლოდ კონსერვატორთა რეჟიმის შედეგია. თქვენ, მუშები, ინგლისსა ჰკვებავთ და ინახავთ და საათები-კი არა გაქვთ. მიბოძეთ ადრესი და ხვალვე გამოგიგზავნით საათს“. მეორე დღეს კანდიდატის მეგობარი მართლაც უგზავნიდა საათს.

ინგლისში ჩვეულებად არის მიღებული, კანდიდატმა ამომრჩევლები მოიაროს და ყველას სათითაოდ მოელაპარაკოს. ამიტომ კანდიდატს არჩევნების დროს ერთი წუთით მოსვენება არა აქვს. ბევრი კანდიდატი მოხუცი ან მეტად ახალგაზრდა ამომრჩეველთან თავისს ცოლსა ჰგზავნის. ზოგჯერ ლამაზი ცოლი თავისის ღიმილითა და მხიარულის ლაპარაკით უფრო ბევრს აკეთებს, ვიდრე თვით კანდიდატი თავისს მჭევრმეტყველურის სიტყვებით.

„ვიზიტებიც“ ათას ნაირია. ლონდონის ლორდ-მერი და იმისი მეუღლე ექვს ცხენ-შებმულ მდიდარ ეტლით დადიან ამომრჩევლებთან. მუშათა დასის დეპუტატი ჯონ პერისი ფეხით დაიარება. ვინსტონ ჩერჩილი მუშის ტანისამოსს იცვამს და მაღაროებში ჩადის მუშებთან. თვით-მოსიარულე ეტლმა წელს დიდი სამსახური გაუწია კანდიდატებს.

ისეც მოხდება ხოლმე, რომ მეტოქენი ერთის ეტლით დაიარებიან ამომრჩევლებთან. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ო'ბრიენი და გილი, რომელთაც ყუთები ერთსა და იმავე ოლქში დაიდგეს. ო'ბრიენმა და გილიმ, ერთმანეთის დაუძინებელმა მტრებმა, ერთი ეტლი დაიქირავეს და ერთად დაიწყეს სიარული. გაჩერდებოდა თუ არა ეტლი ამომრჩევლის სახლთან, ჯერ ერთი კანდიდატი შევიდოდა სახლის პატრონთან, მერე მეორე. ამ მეტოქეებმა კრებაც კი ერთად გამართეს. მოედანზედ აუარებელი ხალხი შეიკრიბა. კანდიდატების ეტლი შუა ადგილას გააჩერეს. როდესაც ხალხი დაწყნარდა, ო'ბრიენმა მეეტლეს ადგილიდგან სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც თავისი მეტოქე გილი თითქმის მიწასთან გაასწორა: გილი მატყუარა, უნიჭო და გამოუსადეგარი კაციაო, ხმა-მაღლა გაჰკიოდა ო'ბრიენი, გილი-კი ამ დროს იმავე ეტლში იჯდა და ყურს უგდებდა. როდესაც ო'ბრიენმა გაათავა, გილი ავიდა „ტრიბუნაზედ“. რაღა ლაპარაკი უნდა, გილი ქება დიდებას არ შეასხავდა მეტოქეს და არ ურჩევდა საზოგადოებას, ო'ბრიენი აირჩიეთ დეპუტატადაო.

ი. ა—ძე.

ნაოლად დაანახვა, რომ სტრატეგიული მდებარეობა პეკინისა საიმედო არ არის. სატახტო ქალაქის დაპყრობა სულ ადვილად შეიძლება, საკმაოა მხოლოდ ჯარის გადასხმა ჩინეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაპირთან. ამიტომ სატახტო ქალაქის გადატანა დიდი ხანია ამპერატრიცას გადაწყვეტილი ჰქონდა. ამ გეგმას იგი არასოდეს არ დაანებებს თავს, გინდაც რომ ევროპიელებმა თავისი ჯარი სრულიად გაიყვანონ პეკინიდგან. პეკინმა სამუდამოდ დაჰკარგა მნიშვნელობა. რუსეთი ამიტომ იმ თავითვე მიჰხვდა, რომ პეკინში ჯარის დატოვებას არავითარი აზრი არ ექმნება და გაიყვანა კიდეც თავისი ჯარი“.

— ხან-კოუში რეფორმატორების პროკლამაცია უპოვნიათ. მოგვყავს აქვე შინაარსი ამ პროკლამაციისა: „ჩვენ, ჩინელთა დამოუკიდებლობის კავშირის წევრნი, იარაღით ხელში აღვუდექით მოკრივეთა მოძრაობას, იმ მოძრაობას, რომელიც გამოიწვიეს და რომელსაც ხელს უწყობენ პრინცი ტუანი, იუნლუ, კან-ი და სხვანი რეაქციონერნი და ცრუ-მორწმუნენი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მანჯურიის მთავრობა აღარა გვწამს ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელსაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობა შეეძლოს. ჩვენ ვალდებულებად ვთვლით ჩვენთვის ძველის ჩინეთისაგან შევქნათ ახალი ჩინეთი, გავავრცელოთ განათლება და ხალხს კეთილი ცხოვრება და მშვიდობიანობა მივანიჭოთ. ჩვენ გადავწყვიტოთ აღვადგინოთ საიმპერატორო უფლებანი იმპერატორის კუნგ-სისა და შევქმნად კონსტიტუციონური მანარქია ისეთი, როგორც მე-XX საუკუნეს შეეფერება. საჭიროდ მიგვაჩნია დავუკავშირდეთ უცხო სახელმწიფოებს, რათა იმათთან ერთად გავანადგუროთ მეამბოხე ფანატიკოსნი და დავსაჯოთ თვით-ნებით გაბატონებულნი, რომელნიც უცხოელებსაც მტრულის თვალით უყურებენ. უცხო-ქვეყნელთა კონცესიები, ქრისტიანეთა ეკკლესიები, მათი ქონება და თვით უცხოქვეყნელნი უნდა დავიცვათ ყოველ გვარ ზარალისა და უბედურებისაგან“.

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ლორდმა რობერტსმა, რომელიც ენკენისთვეში ლონდონში უნდა ყოფილიყო, შეატყობინა ნაცნობებს, რომ იანვრამდე ვერ ჩამოვალო. ამ გარემოებამ ძალიან დააღონა ინგლისელნი. თან-და თან რწმუნდებიან, რომ ტრანსვაალი ჯერ დაპყრობილი არ არის. ამას ამ ბოლოს დროს მოსული დეპეშებიც მოწმობენ: ბურები არამც თუ უმაგრდებიან მტერს, ბევრგან ამარცხებენ კიდეც.

— ამას წინად ინდოეთის ვიცე-კოროლს ლორდ კერზონს ინდოეთის სახელმწიფო საბჭოსთვის მოხსენება წარუდგენია, ინდოეთის წლევანდელ შიმშილობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდგანა სჩანს, მოუსავლობით ინდოეთში მცხოვრებთა ერთი მეოთხედი დაზარალებულა, ე. ი. 60 მილიონ სულამდე. ზარალი 500 მილიონ მანეთს აღემატება თურმე. ამას გარდა საკვების უქონლობისა გამო რამდენისამე მილიონის საქონელი ამოწყვეტილა. შიმშილისაგან ნახევარ მილიონამდე კაცი მომკვდარა.

## „ივერიის“ № 187-ში დაბეჭდილ „ქართველ სტუდენტებისადმი“ მიმართულ წერილისა გამო.

ამ დღეებში უკვე მივიღე ოდესისა და იურიევის უნივერსიტეტებში მყოფ ქართველ სტუდენტების შესახებ ის სტატისტიკური ცნობები, რომელსაც „ივერიის“ ამ წლის № 187-ში ვთხოულობდი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა ვბეჭდავთ, რადგანაც სხვა უნივერსიტეტების ცნობებს ვუცდი. მივიღებ თუ არა ყველა უნივერსიტეტთაგან ცნობებს, მაშინვე დავბეჭდავთ და კიდევაც შეუდგებით საქმეს. კერძოდ ოდესისა და იურევის ქართველს სტუდენტებს და აგრეთვე მოსკოვის სტუდენტებს, რომლებიც მაუწყებენ, რომ წესდება და ამ საგნისათვის საჭირო მასალა გამოუგზავნიათ, მალე და დაუზარებლივ შეგვისრულეს და ამით ხელს გვიწყობენ და გვამხნევებენ მომავალს საქმეში. ვთხოვ რუსეთის დანარჩენ უნივერსიტეტების ქართველს სტუდენტებს, რაც შეიძლება, დააჩქარონ აღნიშნულ ცნობების გამოგზავნა და აგრეთვე გვიშოვონ და მოგვაწოდონ ადგილობრივ არსებულ „სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოებათა“ წესდებანი, რომ ჩვენის საზოგადოებისათვის წესდების შედგენის დროს მათით ვიხელმძღვანელოთ. იმედია, მალე ყველა უნივერსიტეტიდგან მივიღებთ საჭირო ცნობებს და საქმის დაწყებას მეტად აღარ დაგვაგვიანებენ.

ი. ახალშენიშვილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ოქტომბერი

**შანხაი.** კარგად უწყებულ სამხედრო წრეებში მოელიან, რომ ჩინელები ზამთარში ეცდებიან პეკინი უკან დაიბრუნონო.

**კანტონი.** მეამბოხეებმა ალყა შემოარტყეს ყუჩოუს; დიდად დაამარცხეს რა საიმპერატორო ჯარი, დაიპყრეს დიდი სავაჭრო ქალაქი სანჩაო. დღეს ამბოხება დაიწყო კამხუნგში, გუანდუანის საზღვარზედ.

**შანხაი.** ადმირალი სეიმური მოვიდა აქა. თავადი უხტომსკი დღეს პორტ-არტურში მიდის. — პეკინთან მისვლა-მოსვლის საქმე დიდად ცუდს მდგომარეობაშია; წერილები ექვსის კვირით გვიანდება. — თუმცა ბევრს ეცადნენ აღედგინათ სავაჭრო მოლვაწეობა ტაინ-ძინში, მაგრამ ვერას გახდნენ, რადგან დიდად გაძნელებულია ტაკუსთან დამოკიდებულების დადგენა.

**იოკაჰამა.** როგორც სეულიდგან იუწყებიან, სეულ-ვიჩჟაუს რკინის გზის შტოს გაყვანისათვის უკვე ხელი მიუყვიათ.

**შანხაი.** ვალდერზეემ ნარევი რაზმი გაჰგზავნა მინგების სამეფო შთამომავლობის მიცვალებულთა აკლდამებისაკენ.

**ბერლინი.** როგორც ცინტაუდგან იუწყებიან, 10 ოქტომბერს ციაუჯოუში შეტაკება მოხდარა გერმანიის ჯარსა და მეამბოხე ჩინელთა შორის. კოურეის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ორი სოფელი, რომელსაც თხრილები ჰქონდა შემოვლებული და ჩინელები მხნედ იცავდნენ, აღებულ იქმნა. ნემეცთა რაზმს ზარალი არ მოსვლია. ჩინელებს ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს. ნემეცთა ჯარი კოურეიში დაბრუნდა 12 საათის ლაშქრობის შემდეგ. ჯარი კარგ მდგომარეობაშია“.

**ლონდონი.** ხაზინის კანცლერმა გიეს-ბიჩმა ლივერპულის სავაჭრო პალატთა ნადიმზედ, შეეხო რა ინგლისს-გერმანიის შეთანხმებას, სთქვა, რომ გერმანიამ მიიღო ინგლისის პრინციპები ჩინეთში მოქმედების შესახებაო; მე არა მსურს გავაზვიადო ხელშეკრულება, მაგრამ მარტო ისიც-კი ბევრსა ჰნიშნავს, რომ ისეთ საქმეში, როგორიც ჩინეთია, ორმა დიდმა სახელმწიფომ შესძლო გარკვევით განსაზღვრა თავიანთის ინტერესებისა და მიზნისა და შემდეგ ყოველივე ეს სხვა სახელმწიფოთ გარდასცა განსახილველად. თუ რომ ეს სახელმწიფონი, განსაკუთრებით-კი რუსეთი, რომელსაც მთელი ქვეყანა ნდობით უნდა ეპყრობოდეს, მიემხრო ამ ხელშეკრულებას, მაშინ ეჭვი აღარ გვექნება, რომ სხვა სახელმწიფოებიც მიემხრობიან. ხოლო თუ ეს მოხდა, საქმე თანხმობითა და ერთობით იქნება გათავებული. შემდეგ შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ საქმე თუ ასე მოეწყო, ინგლისის ინტერესი ჩინეთში დაცულ იქმნა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი დამოკიდებულება ჩამოვარდება.

13 ოქტომბერი.

**ვაშინგტონი.** ამერიკის ელჩს დაევალა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ჩინეთის რწმუნებულებთან, მაგრამ მოლაპარაკების დროს იმ მუხლებს არ უნდა გადასცდეს, რომლებიც უკვე შეიწყნარეს სხვა სახელმწიფოებმა. სახელმწიფოებს ერთმანეთში თათბირი ექმნებათ ისეთ მუხლების შესახებ, რომელთაც უთანხმოება გამოიწვიეს, რათა ამ მუხლების შესახებაც შეთანხმდნენ. ხმა დადის, რომ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელთაც მიიღეს ასეთი ინსტრუქციებიო.

**ტიან-ძინი.** გუშინ გავიდა ექსპედიცია, რომელიც რუსებისა, გერმანელებისა და ფრანგებისაგან შესდგება. გერმანელები ხსიანგოში მიდიან, რუსები და ფრანგები — პაოდიში. ჯარი 1000 კაცისაგან შესდგება. ჰყავთ ცხენოსანთა რაზმი და აქვთ თან ორი ზარბაზანი. ექსპედიციამ ტიან-ძინ — პეკინის რკინის გზის მარჯვენა მხარე უნდა დაიცვას, რადგანაც „დიდის მუშტის“ ბრბონი პეკინის აღმოსავლეთით 40 მილის მანძილზედ ხსიანგოსა და პაოდის შორის გამაგრდნენ. ეს ბრბონი გამოექცნენ ჩინეთის ჯარს, რომელმაც განდევნა ისინი ხოჩიანგოსა და ლუტაიადგან.

**ტიან-ძინი.** გენერალი ინიაშანი პეკინის გზით აქ მოვიდა. თან გენერალს ამერიკელი ჯარის-კაცნი ახლავან. ამბობენ, რომ იგი ვალდერზეემ მოიწვიაო. ნემცები სურსათსა ჰგზავნიან პაოტინფუში, რადგანაც აზრადა აქვთ ზამთარი იქ გაატარონ. იმპერატორის ჯარი ტიან-ძინის სამხრეთით მოქმედებს „დიდის მუშტის“ წინაამდეგ. მოკავშირეთა ჯარი წინააღმდეგობას არ უწევს.

**კოლსბერგი.** ფილიპ-პოლისი, რომელზედაც ბურებმა იერიში მიიტანეს და რამდენისამე დღის შემდეგ აიღეს კიდეც, უკანასკნელ ღამეს იომანრებმა და ორმა სხვა რაზმმა უკან წაართვეს ბურებს. ბურები, რომელთაც დიდი ზარალი მოუვიდათ, მრავლად ნახეს იქ ბურების რამდენიმე დედაკაცი, როგორც ამბობენ, იეგერსფონტენიდგან ღამე წასულან რკინის გზით კოლსბერგზედ. ეს დედაკაცები ვითომ იმიტომ წაუყვანიათ იქიდგან, რომ ბურებს შემწეობას უწევდნენო.

## წერილი რედაქციის მიმართ *)

—

გთხოვთ ალაგი მისცეთ თქვენ გაზეთში მცირედ შენიშვნას იმ სიმართლის აღსადგენად, რომელიც გარდამახინჯებულია ბ-ნ ე. ვაშაკიძის მიერ „ივერიის“ მე-218 № ში, რათა თავიდგან ავიცილო ცილის-წამება და სრულიათ დაუმსახურებელი ლანძღვაგინება. თავისის სტატიის (რაზედ ვხარჯავთ ძალას?) პირველ ფელეტონის დაბოლოს ბ-ნი ვაშაკიძე სწერს: „სამწუხაროა ისიც, რომ ადამიანი პატივს არა სცემს თავს, იმას ადამიანად სთვლიან სხვანი და ის-კი თავისის საქციელით უარ-ჰყოფს თავისსავე ადამიანობას. თავისის თავის პატივისცემა რომ ჰქონოდეთ ამ ადამიანებს, რით უნდა ავხსნათ ის, რომ ასე თუ ისე ლოციალურ მდგომარეობით ცნობილმა მკურნალმა უ ა რ ჰ ყ ო (კურსივი ჩვენია) თავისი სიტყვა მაშინაც-კი, როდესაც კარგად იცოდა ამ ო რ პ ი რ ო ბ ა ს (კურსივი ჩვენია) შენიშნავდნენ, თუნდაც ოდისსე სავით ცბიერ-ჭკუიანი ყოფილიყო მდივანი და არ აღებეჭდა ოქმში ეს უ ა რ ყ ო ფ ა (კურსივი ჩვენია) მკურნალის მიერ მისისავე სიტყვებისა“ და სხ... მეორე № ში ამავე სტატიის გაგძელებაში „უცნაურის“ სახელით მოგვნათლა.

ყოველ მკითხველს საბუთი აქვს იფიქროს, რომ აქ ლაპარაკი არის მკურნალ ნ. ქიქინაძეზე და არა სხვაზე, რადგანაც ის ერთათ-ერთი მკურნალი იყო, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ქიათურელთა კრებებზე. ამიტომაც მე იძულებული ვარ თქვენი გაზეთის საშუალებით აღვადგინო ნამდვილი ამბავი ამ „ორპირობის“ და ჩემისავე სიტყვების „უარყოფის“. როცა ბ. პ. სურგულაძემ, კრების მდივანმა ოქმი წაიკითხა, მე შევნიშნე, რომ ჩემი სიტყვები არაა სწორეთ შეტანილი ოქმში და კრების თავმჯდომარეს ვთხოვე ოქმი შეესწორებინათ შემდეგ ნაირათ: რჩევის თავმჯდომარის ბ. ზდანოვიჩის კითხვაზე — შარაგზებზეა ლაპარაკი თუ გზატკეცილებზე, ქიქინაძემ უპასუხა — შარაგზებზეო. ოქმშიკი ასე ეწერა: ზდანოვიჩის კითხვაზე — შარაგზებზე ლაპარაკობს მკურნალი ქიქინაძე, თუ გზატკეცილებზე, ქიქინაძემ უპასუხა — არ ვიციო. როცა საყვედურის სათქმელათ მივმართე კრების მდივნებს, ერთმა მათგანმა, (პ. მდივანმა) მიპასუხა: „ჩვენ ეს ადგილი სრულიათ არ გვქონია ოქმში, ალბათ ბ. ზდანოვიჩი თვითონ შეიტანდა, შესასწორებლათ რომ მივუტანე სახლში“. მართლაც, ოქმის შავის შემოწმებამ აღმოაჩინა სინამდვილე ბ. პ. მდივნის სიტყვებისა. მე არ მსურს ამით ვთქვა, რომ ბ. ზდანოვიჩმა ჩემი სიტყვები და აზრი განძრახ გადაასხვაფერუნა, უნდა ვიფიქროთ, იმას ეს შეცთომით მოუვიდა. მარა საწყენი ისაა, რომ ბ. ვაშაკიძემ, რომელმაც არ იცის არც ის, რომ ეს სიტყვები ბ. ზდანოვიჩისაგან არის შეტანილი ოქმში და არც ის, რომ მდივნები სრულიათ არ ეთანხმებიან ბ. ზდანოვიჩს ამ შემთხვევაში (რასაც ისინი, იმედია, თუ საჭიროება მოითხოვს, საჯაროთაც არ დამალვენ), აილო და თავზე ყოველგვარი სისაძაგლე მოგვახვია. ამას ჰქვია პირადობის პატივისცემა?! ყოველივე ზემოთქმული კიდეც რომ ცოდნოდა ბ. ვაშაკიძეს, რა ნება ჰქონდა მაინც ჩემგან პროტოკოლში შეტანილ შესწორებას არ რწმუნებოდა? პროტოკოლებში სხვასაც შეჰქონდა შესწორება: თვითონ ბ. ზდანოვიჩმა არა ერთხელ შეასწორებინა ადგილები, სანამ თვითონ არ იწყო შესწორება ოქმების კრებაზე წაკითხვამდის. რატომ იმას არ მიმართა ამნაირივე საყვედურებით და ცილის-წამებით?

მკურნალი ნ. გ. ქიქინაძე

ქ. ქუთაისი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად შეუცვლელად. რედ.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

14 ოქტომბერი.

მიხეილ ბერიკაციშვილისა — კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძისა — მკვლელობის განზრახვის ჩადენა, ქურდობა და სხვისი ნივთების მითვისება ჰბრალდება.

სერაპიონ და კესარია ბიწაძეებისა და ნატალია ჭყონიასი, რომელთაც სასჯელ. დებ. მე-1690 მუხ. აღნიშნულ დანაშაულსი ჩადენა ჰბრალდებათ.

17 ოქტომბერს:

ვლადიმერ ახალშენიშვილისა, რომელსაც მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ლუკა ტაბატაძისა — ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე, გიორგი და რაჟდენ ჩიგოშვილებისა — ქურდობის ჩადენა ბრალდებათ.

ანნა თავდგირიძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

19 ოქტომბერს:

ვარლამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

ილარიონ გოგიაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ამილბარ თომაშვილისა — სააქციზო წესის დარღვევა ბრალდება.

ნიკოლოზ მგელაძისა, რომელსაც განზრახ თავის სახლის დაწვა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ლიდია მაჭავარიანისა, ალექსანდრე კიკნაძისა და მალაქია და ივანე ჭანტურიძეებისა, რომელთაც სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |


Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე